# სამშობლო

№ 373

**გაზეთის ფასი:**
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე შილ-ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკანასკნელ გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ ჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 6 ივნისიდან ახალი პროგრამა

**ზევრია საჭირო კაცისთვის მიწა.**

კინო ილუსტრაცია 3 ნაწილ. ლ. ნ. ტოლსტოის მოთხრობიდან.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 9 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**პატე ჟურნალი** № 344. მიმდინარე ამბები.

იევარული ძლიერია არა მარტო კვევნა-კოცნით

ძლიერი დრამა 4 ნაწ მუზჟუხინის, ლისენკოს, ორლოვისა და ჰანოვის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ორშაბათიდან, 6 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**ქრონიკა გომონი**, მიმდინარე ამბები.

**ღვთის სამართალი.**

დრამა 4 ნაწ. უმთავრეს როლს შეასრულებს მოზჟუხინი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 9 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა** 40 ბ. მიმდინარე ამბები.

სიკვდილზე უძლიერესი. ფსიხოლოგიური დრამა 2 ნაწ. რუტცის და მ. ნ. წერეთლის მონაწილეობით.

კაცი უღილოთ. კომედია 2 ნაწ. არკ. ავერჩენკოს მოთხრობიდან, ვერნერის და მასინის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „ამპირსა" და „რადიუმში": ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

კვირას, 12 ივნისს, დილის 11 საათზე, სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საისტორიო, საეთნოგრაფიო საზოგადოების

**საზოგადო კრება.**

1) 1914—15 წლ. ანგარიშის განსახილველია:
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3) გამგეობის წევრთა არჩევა. 104—2-1

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

**ამზადებს მოწაფეებს**

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, **სპეციალურად კი რუსულ ენაში.**

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა. პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 6-5

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ექიმი ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^1/_2$— ც საათ. საღ. 6—8 საათ.

**მისამართი:** ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ეგლიპთვის მადაზიის პირდაპირ.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**გამოცდილი მასწავლებელი** სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. **„სამშობლოს"** რედაქც


## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

ჯვების ამბავი დიდი სიამოვნებით მოვისმინე. გულწრფელად ვულოცავ თქვენს იმპერატორობითი უმაღლესობას თქვენი ჯარის გამარჯვებას.

**იოსიხატო.**

დასავლეთის ასპარეზი.

მდ. სტრიპის მარცხენა ნაპირზე, მტერმა სხვა ბრძოლის პირებიდან ჯარი გადმოიყვანა და კონტრიერიშები დაიწყო.

მდ. სტირზე, დაბა კოლკის დასავლეთით, მდ. გალოსა და სოფ. გადომიჩის მიდამოებში, მიუხედავათ ჩვენი არტილერიის ძლიერი ცეცხლისა, მტერმა შემოგვიტია, მაგრამ უკუვაქციეთ. უკან დევნის დროს ჩვენი ჯარი მტრის პოზიციებში შეიჭრა მდ. სტირის ჩრდილოეთ ნაპირზე და ტყვეთ წამოიყვანა 15 აფიცერზე მეტი და 800 ჯარის კაცი. მდ. სტოხოდზე, როჟიშჩეს ჩრდილო დასავლეთით, ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, ციმბირის პოლკებმა აიღეს ოვიდნი... და დაატყვევეს გერმანელთა 4 აფიცერი და 450 ჯარის კაცი. ბელორუსთა გუსარებმა, ცხენოსანთა არტილერიის დახმარებით, ცხენდაცხენ შეუტიეს მტრის წრეებს, გაარღვიეს მტრის ჯარის სამი წყება და ავსტრიელების ორი როტა აკუწეს.

რაძივილოვის მიდამოებში ჩვენმა კავალერიამ მტერი განდევნა. მდ სტრიპაზე გუშინდელ ბრძოლის დროს მთელს ველზე მტრის ჯარი იყო მოფენილი და გარბოდა. ავსტრიელები და გერმანელები ერთმანეთში აირივნენ. ერთ ალაგას მტრის შეჯგუფებულ ჯარს ჩვენმა არტილერიამ გაძლიერებული ცეცხლი დაუშინა და ასობით ამოსწყვიტა. ჩვენს ჯარს დიდი აღფრთოვანება დაეტყო.

მდ. სტრიპაზე გაივორონკასა და კურგალოვის რაიონში მტერმა შემოგვიტია. სნიატინ-კოლომიის გზაზე მტერი მდ. ჩესნივაზე გავდევნეთ.

მდ. დვინის პირზე ჩვენი არტილერია მარჯვედ მოქმედობს.

კავკასიის ასპარეზი.

ტრაპიზონის რაიონში ოსმალების იერიშები უკუ ვაგდეთ.

პლატანის რაიონში ჩვენი რაზმები წინ მიიწევენ. მოსულის მიმართულებით ჩვენი მზვერავები (რიცხვით 27 კაცი) შეებრძოლენ ოსმალოს რაზმს (300 კაცს) და არტილერიის დახმარებით სრულიად ამოსწყვიტეს.

**ათინა.** 4 ივნისი. საერთაშორისო კომისიამ გადასწყვიტა: თუ საბერძნეთის ეროვნულმა ბანკმა ახალი საგირავნო ფურცლები გამოუშვა, ამ გირავნობის ობლიგაციები არ მიიღო პარიზისა და ლონდონის ბირჟებზე და არავითარი ფინანსიური დახმარება აღარ გაუწიოს საბერძნეთს.

**პარიზი.** 4 ივნისი. დღის ოფიციალური ცნობა. ბელგიაში, ლომბარდზიდეს რაიონში, საარტილერიო ბრძოლაა.

მაასის მარცხენა ნაპირზე ავოკურის სიმაგრეზე ხელით სასროლი ყუმბარებით გერმანელებმა იერიში მოიტანეს. ფრანგებმა იერიში მოიგერიეს.

გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს მარტომის მიდამოებში ფრანგთა პოზიციებს. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფლერის ჩრდილოეთით გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ვოგეზებში არტილერიის ძლიერი სროლის შემდეგ, სიმალლე ტონის აღმოსავლეთით ფრანგთა ერთი რაზმი მტრის პირველსა და მეორე რიგის სანგრებში შეიჭრა, რამდენიმე კაცი დაატყვევა და უვნებლად დაბრუნდა. დიუნკერკეს მიდამოებში გერმანელმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს. ადამიანთა მსხვერპლი არ არის. ზარალი უმნიშვნელოა. სად ბარლედიუკს 8 საათზე გერმანელმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს. მოკლულია 4, დაჭრილია 15. პონტამუსონში მოპირდაპირის მფრინავებმა უშედეგოთ ჩამოყარეს ყუმბარები.

ფრანგთა საჰაერო რაზმმა ღამე ლონგიერის, მონმედისა და ოდენლერომის სად

**ლონდონი.** 3 ივნისი. სამხედრო სამინისტროს ცნობა. მესოპოტამიაში მდგომარეობა უცვლელია. მდ. ტიგრის ჩრდილოეთ ნაპირზე ინგლისელებმა წინ წაიწიეს და ოსმალთა სანაიათის პოზიციებს 200 იარდით დაუახლოვდენ. სამხრეთ ნაპირზე ინგლისელებმა იმამ-სურთან წინ წამოწეული სიმაგრე დაიპყრეს. ინგლისელთა დამსჯელი რაზმი თავს დაეცა არაბთა ერთ ტომს, რომელიც ხშირად სჭრიდა ტელეგრაფის მავთულს, ჰამარას ტბის ჩრდილოეთით, და წაართვა 200 ძროხა, ბური და ცხვრები. ოსმალებმა ზარბაზნების დაშენით მდ. ტიგრზე სამი ნავი ჩასძირეს.

**სტოკჰოლმი.** 5 ივნისი. ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგის შენობაში აწ გარდაცვალებულ ფონ-დერ-ჰოლც-ფაშის ხსოვნის პატივსაცემად მომხდარ სხდომაზე გულის სიგანივრისაგან გარდაიცვალა გენერალური შტაბის უფროსი ფონ-მოლტკეო.

**პარიზი.** 5 ივნისი. ვერდენთან ფრანგთა მფრინავები რამდენჯერმე შეებნენ გერმანელთა მფრინავებს.

სამონიეს მიმართულებით მალანკურის ახლოს ფრანგებმა ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს, მეორე სეტფრაქთან, ხოლო მესამე ბეტანკურის მიდამოებში.

ლოტარინგიაში, გერმანელთა პოზიციებზე, ფრანგთა ოთხი ჰაეროპლანი შეებრძოლა ოთხ ფოკკერს. ერთი ფოკკერი ცეცხლ მოკიდებული ძირს ჩამოვარდა, მეორე ბეზანის აღმოსავლეთით დაეცა; შოზიეს მიდამოებში სად. სელიდს ფრანგთა საჰაერო ესკადრამ დიდ ყალიბის 24 ყუმბარა ესროლა. ამავე ესკადრამ ტიონვილის ქარხნებში 20 ყუმბარა ჩამოაგდო. ეტენ ტერნიეში ღამის განმავლობაში გერმანელთა ჰაეროპლანებმა ჩამოყარეს ყუმბარები პონტამუსონსა, ნანსსა და ბაკარაში; ნივთიერი ზარალი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** 5 ივნისი, ოფიციალური დღის ცნობა. მდ სომმის სამხრეთით ფრანგ მზვერავთა ძლიერმა რაზმმა ფეს წინ მდებარე თხრილებიდან უკან დაიხია და რამდენიმე კაცი ტყვეთ დაკარგა. არგონებში ცხოველი ბრძოლა იყო ხელით სასროლი ყუმბარებით. ვილმორტთან, ვოკუას მიდამოებში აფეთქებული ნაღმისაგან გაკეთებულა ორმოს სამხრეთი ნაწილი ფრანგებმა დაიპყრეს. ფრანგთა შორსმსროლელმა ზარბაზნებმა ცეცხლი გაუჩინა სად. შალრანჟს, სადაც ამ დროს გერმანელთა ჯარი იყრიდა თავს.

მაასის მერცხენა ნაპირზე გერმანელებმა მორტომის ფრანგთა ახალ პოზიციებზე მდუღარე სითხის შემწეობით იერიში მიუტანიათ, მაგრამ ფრანგებმა მოუგერებიათ დიდი ზარალით; ფრანგებს შეუნარჩუნებიათ თავისი პოზიციები. მაასის მარჯვენა ნაპირზედაც ტიომონის სავლე სიმაგრის ჩრდილოეთით გერმანელთა იერიში უნაყოფო იყო, უფრო სამხრეთით ფრანგებმა ხელით სასროლი ყუმბარებით მოიგერიეს იერიში ვოგეზებში გერმანელთა ძლიერი რაზმი 1200 მეტრის სიგრძის სიმაგრის აღებას ლამობდა, მაგრამ ფრანგებმა თოფის სროლით მოიგერიეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

—

„ბირჟ. ვედ."-ს სიტყვით, გალიციის ასპარეზზე მთავარ შეტაკებებს მხოლოდ ქვეითა ჯარი აწარმოებს.

—

„რუსკ. ინვალიდი" იუწყება: გალიციის ასპარეზზე თითქმის მტერს ყველა სიმაგრე დაუზიანებლად გადარჩა, რაც აიხსნება იმით, რომ ბრძოლის ყველა პირზე მხოლოდ ხელჩართული ბრძოლა სწარმოებდა.

—

შეთანხმების სახელმწიფოთა ფლოტი საბერძნეთის სანაპიროების ალყას განაგრძობენ. საბერძნეთში სამინისტროს

შეთანხმების სახელმწიფოებმა დაიკავეს საბერძნეთის კუნძული ტაზოსი.

—

„ნოვოე ვრემიას" ატყობინებენ: რუსეთსა და იაპონიის შორის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკება უკვე დასრულდა. ამ დღეებში ამ მოლაპარაკების შედეგები გამოქვეყნდებაო.

—

იტალიის ასპარეზის შესახებ გაზ. „კოლოკოლი" სწერს: ომის დაწყებიდან იტალიის სამთავროს ავსტრიელებისათვის დიდი წინაალმდეგობა არ გაუწევია. დღეს თუ იტალიის სამთავრო მედგრათ იბრძვის, ეს არის ბრძოლა მოგერებითი, თავდაცვის მიზნით გამოწვეული, რადგან ავსტრიის ლაშქარი მის მიწა-წყალზე შეიჭრა და ვენეციას ემუქრებაო. დღეს კი, როდესაც ავსტრიის სამხედრო შტაბის უმთავრესი ყურადღება გალიციის ასპარეზისაკენ არის მიპყრობილი, იტალიას შეუძლია არა თუ მტერი მარტო თავის მიწა-წყლიდან გამოაძევოს, არამედ მას დიდი ზიანიც მიაყენოსო".

—

იტალის წინააღმდეგ მომქმედ ავსტრიის ჯარის მთავარსარდალი, ჰერცჰერცოგი ევგენი ჯარების მომატებას თხოულობს.

—

ჰოლანდიის მახლობლად ალმანგრუნდის მცურავ ხიდთან შვეციის გემი „ჰიერო" ნაღმს დაეტაკა და დაიღუპა.

—

გერმანიის კრეისერმა შვეციის წყლებში დანიის ციდი სავაჭრო გემი დაატყვევა.

—

ჩრდილო აფრიკაში გერმანიის ყველა ახალშენი ინგლისის სახალშენო ჯარმა დაიკავა.

—

ჩინეთის რევოლიუციონერებს ორი პროვინცია ჩამოშორდა:

ჩენძიანისა და ხუნანის პროვინციებმა პეკინის მთავრობის წინაშე მორჩილება განაცხადეს.

—

გერმანიის საიმპერიო მთავრობამ შემდეგი განკარგულება გამოსცა: ყველა იმ პირს, რომელიც ამ ომის დროს გერმანიის საზღვრებს გასცილდება, ეკრძალებათ გერმანული გაზეთების წამოღება.

—

ვენიზელოსს თავის გაზეთ „კირიკში" წერილი დაუსტამბავს, სადაც საბერძნეთის აწინდელ მთავრობას აშკარა გერმანოფილობაში ამტყუნებს, და თან აღნიშნავს: ვინაიდან საბერძნეთის მეფემ და მისმა მორჩილმა მინისტრებმა საბერძნეთის ერი გერმანიას მიჰყიდეს, მათ წინააღმდეგ ხალხს მხოლოდ ერთი გზა დარჩენია და ეს გზა „რევოლიუცია" არისო.

—

ქ. დუბლინში მოხდა ირლანდიის პარლამენტარიების ყრილობა. ყრილობა შეიმუშავებს გეგმას, თუ როგორ გაატარონ ცხოვრებაში ჰომრული.

—

იტალიაში სამინისტროს კრიზისი გრძელდება.

—

ამ დღეებში საბერძნეთის მთავრობას შეთანხმების სახელმწიფონი სათანადო განმარტებას წარუდგენენ შესახებ იმისა, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ ისინი, როდესაც საბერძნეთის სანაპიროების ალყა გამოაცხადეს

—

„კორიერა დე ლასერა" იუწყება: იტალიის მინისტრ-პრეზიდენტად ლუციტო სანინოს ასახელებენო. სანინო ცნობილია, როგორც შეთანხმების სახელმწიფოთა ერთი უკეთესი მეგობართაგანი და გერმანიის დაუძინებელი მტერი.

—

ჩინეთის მთავრობამ რუსეთში მაზუთის გაზიდვა აკრძალა

—

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მდ. დვინის პირზე საარტილერიო ბრძოლაა. რაძივილოვთან რუსის ცხენოსანმა ჯარმა განდევნა გამაგრებულ პოზიციებიდან ავსტრიელები და გერმანელები. ამ ბრძოლაში რუსის არტილერიას დიდი ზიანი მიუყენებია მტრისათვის. მდ. სტრიპას დასავლეთ ნაპირზე ავსტრიელები რუსების მიერ განდევნილ იქნენ. სნიატინ—კოლომიის გზაზე ძლიერი ბრძოლაა.

**დასავლეთის ასპარეზი** ინგლისის, ბელგეთის და ფრანგთა ჯარის ბრძოლის პირებზე ვერდენამდე საარტილერიო და სანაღმო ბრძოლა სწარმოებს. აგრეთვე ბრძოლებია ვოგეზებში.

**ვერდენთან** მაასის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა იერიში მიიტანეს ფრანგთა ახალ პოზიციებზე, მაგრამ მოგერებულ იქნენ. მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგთა ერთი რაზმი გერმანელთა სანგრებში შეიჭრა, რამდენიმე კაცი ტყვეთ წამოიყვანა და უკან დაბრუნდა. ფრანგებმა ჩამოაგდეს ორი ფოკერი, ხოლო ერთი ჰაეროპლანი ფრანგებისა ჩამოვარდა.

**მესოპოტამიაში.** ტიგროსის მარცხენა ნაპირზე ინგლისელები ორასი იარდით დაუახლოვდნენ ოსმალთა პოზიციებს. ინგლისელებს ოსმალებმა დაუღუპეს სამი ნავი. ინგლისელებმა წაართვეს არაბებს 200 ურემი პური.

**კავკასიის ასპარეზი.** ტრაპიზონის მიდამოებში რუსებმა შეაჩერეს ოსმალები, პლატონთან რუსებმა წინ წაიწიეს.

**იტალიის ასპარეზი.** მთელ ბრძოლის პირზე გაცხარებული პატარა საარტილერიო და საჰაერო ბრძოლაა. ქვეითა ჯარიც მხნედ მოქმედობს.

რუმინიის მთავრობამ დაკეტა ბულგარეთს გადასასვლელი გზა. თუ რამ გამოიწვია ეს ზომა, ჯერ არავინ იცის.

— —

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლუცკში რუსი პოლიციელნი და სხვა და სხვა საჭირო მოხელე გაგზავნა.

— —

კავკასიის ასპარეზზე ოსმალებმა ტრაპიზონის რაიონს მთავარი ყურადღება მიაქციეს. ენვერ-ფაშას უთქვამს: ტრაპიზონი ამ მოკლე ხანში უსათუოდ უნდა დავიბრუნოთო.

— —

მაკენზენს უთქვამს: სალონიკზე შეტევა მაშინ დაიწყება, როდესაც საბერძნეთი გადაჭრილ გზას დაადგება და თავის პოზიციას გამოარკვევსო.

— —

ოსმალეთის მთავრობას განუზრახავს თხოვნით მიჰმართოს იმპერატორ ვილჰელმს, რათა მან საჩქაროდ გამოგზავნოს ჯარები და სამხედრო მასალა მცირე აზიის დასაცავად.

— —

მთაშავეთის მეფე უკეთ არის.

— —

„რუსკ. სლოვო“ იუწყება: სმირნაში გარდაიცვალა ოსმალეთის ცნობილი გენერალი ადრიანოპოლის დამცველი შუქრი-ფაშა.

— —

მტრის ჰაეროპლანები განუწყვეტლივ დაფრინავენ ლუცკის თავზე და ქალაქში ყუმბარებს ჰყრიან.

— —

დორპატის (იურიევის) ევაკუაცია უკვე დაიწყო უნივერსიტეტი ქ. პერმში გადააქვთ.

— —

სამხრეთის ფრონტზე გერმანელებმა ბარანოვიჩთან იერიშები გააჩაღეს.

— —

კუროპატკინის ჯარსა და გერმანელების შორის ბრძოლა უკვე გაიმართა.

## სამხედრო მიმოხილვა

### გალიციის შეტევის ხასიათი.

ათი დღე შესრულდა უკვე, რაც ბრუსილოვის ჯარი მძლავრად აწვება ავსტრიელთა ჯარსა და დიდ ზარალსაც აყენებს; როგორც ეხლა ირკვევა, ავსტრიელთა პოზიციები არა ნაკლებ ყოფილან გამაგრებული, ვიდრე გერმანელების სიმაგრენი. მათ ძლიერი ორგანიზაცია შეუქმნიათ ბრძოლის პირის უკან.

მიუხედავათ ამისა, რუსის ჯარმა გადალახა, გადარეცხა მთელი ეს ამოდენა ხნის ნაამაგდარი. უპირატესობა დიდათ შველის რუსეთის მხედრობას.

ამ ხასიათისა იყო, მაგალითად ვარშავის მიდამოებიდან გერმანელთა განდევნა 1914 წ. სექტემბერში.

რა სიმაგრე გაუძლებს, რაც უნდა მკვიდრი იყოს იგი, მოზღვავებულ უამრავ ჯარს!? „რუს. სლოვოს“ კორესპონდენტი სწერს:

„ჩვენ არტილერიას არა ჰქონდა განადგურებული ავსტრიელთა სიმაგრეები, როცა ჩვენი ჯარი გადავიდა სიმაგრეებზეო“. მაშასადამე, ჯარი ყურადღებას არ აქცევს მოწინაალმდეგის არტილერიის ცეცხლს და მიდის წინ ვინც გადარჩებიან არტილერიას, ისინი მიადგებიან სიმაგრეებს და ხიშტებით იპყრობენ მათ. რომ სწორედ ხელჩართული ბრძოლით არის აღებული ავსტრიელთა სიმაგრეები ცხადია იმავ კორესპონდენტის სიტყვების მიხედვით: „ავსტრიელთა სიმაგრეები მხოლოდ ნახევრად არის დანგრეულები და მათი დამცველნი კი ხიშტებით არიან დაცხავებულნიო“.

ასეთი ხერხი ბრძოლისა, როგორც მისი შედეგები მოწმობენ, მიზანს აღწევს, მაგრამ მსხვერპლს დიდს ითხოვს, რაც გამოაშკარავა შტაბმა ბრძოლის პირველი დღეების ცნობებში.

მიუხედავათ ამ რიგის ბრძოლის სარგებლობისა, უნდა ითქვას, რომ საჭიროა ჯარის გაფრთხილება ცოცხალი ძალის შენახვა.

თანამედროვე ომი ტეხნიკისა და მოხერხების ომია და სჯობია ისევ განვითარებულ ტეხნიკაზე დაყრდნობა, მით უმეტეს, რომ მოკავშირეთა ტეხნიკა დიდ იმედებს იძლევა.

ომი, როგორც ყველაფერი ამას მოწმობს, დიდხანს გასტანს და ხანგრძლივი ომისათვის კი საჭიროა ცოცხალ ძალის შენახვა, უეჭველად;

თუ ტეხნიკური საშვალება შემცირდა ცოცხალ ძალას შეუძლია მისი დამუშავება, მხოლოდ ცოცხალი ძალის შესუსტების შევსება კი შეუძლებელია.

ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ბრუსილოვის ჯარი ისე გამეტებით აღარ აწყდება ავსტრიელთა წინადვე დამზადებულ მკვიდრ სიმაგრეებს და უფრო ფრთხილად მიიწევს წინ.

გალიციის ოპერაცია მეორე ფაზაში გადავიდა.

ბრუსილოვის მხედრობა ეხლა მეთოდიურ წინსვლის ტაქტიკას დაადგა. მეთოდიური წინსვლა მუდამ ეიღბლებოდათ რუსებს და პატარ პატარა წარმატებით და გამარჯვებით დაიპყრეს შარშან გალიცია, მეთოდიური წინსვლითვე დაიპყრეს აღმოსავლეთი პრუსია წინა წლებში ოთხჯერ და სხვა.

ეხლაც ამ ნაცადს ხერხს მიმართეს და ნელა მიიწევენ წინ.

ამას თავისი უპირატესობაც აქვს და ეხლა ალბად სავსებით გამოიყენებენ მას. ნელი წინსვლა შეძლებას იძლევა ზურგის გამაგრებისას.

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის და, როცა გერმანელები და ავსტრიელები კვლავ შემოუტევენ მათ, რუსთა სიმაგრეები დახვდებათ, რასაკვირველია, თუ ისინი სათანადოთ იქნებიან გამაგრებულნი.

რუსის მხედრობამ ტაქტიკა შესცვალა, ეჭვი არაა, ორი გარემოების მიხედვით: ერთი როგორც აღვნიშნეთ არის ჯარის გაფრთხილების სურვილი, მხოლოდ მეორეს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

შეტევა სწარმოებს რუმინეთიდან მოყოლებული პოლესიემდე.

აქნობამდე ასპარეზის ამ სიგრძეზე 40—50 ვერსით შეიზნიქა ბრძოლის პირი, მხოლოდ ჩარტორისკიდან მოყოლებული ჩრდილოეთით ბრძოლის პირი უძრავია, სამხრეთითაც რუმინელების საზღვრის გასწვრივ ავსტრიელთა პოზიციები ჩერნოვიცათი ასაღებია.

ამ შემთხვევაში წინსვლა სახიფათოა, ვინაიდან მომავალში შესაძლებელია რუსის ჯარი ისეთ მდგომარეობაში მოჰყოლოდა, რომელსაც „სტრატეგიული ტომარა“ ჰქვია.

ამ არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად ბრუსილოვის მხედრობას გადაუწყვეტია, ჯერჯერობით მაინცადამაინც არ წავიდეს წინ, ვიდრე ფრთებით უზრუნველყოფილი არ იქნება ეს ჯარი.

მთელი მისი ყურადღება ეხლა მიქცეულია ფრთებზე, ერთის მხრით ხელ აულებელი ბრძოლა ჩერნოვიცის კარპესთან და მეორეს მხრით პოლესიეში მდგომ გერმანელთა ჯართან. ერთი სიძნელე, ბრძოლის პირის გარღვევა ძლეულია ეხლა ჯერი მეორე სიძნელეზე მიდგა. მეორე არა ნაკლებ მძიმეა პირველზე

შვერელი.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ქუთაისის მეეტლეებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, მიეცეს მათ 30 ვაგონი ცხენებისათვის სიმინდის მოსაზიდათ.

◆ 8 ივნისს, ელექტრო თეატრ „ილიუზიონში“ ფოთის ქალთა გიმნაზიასთან არსებული მშობელთა წრე, მართავს ამავე გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ სეანსებს.

◆ დ. ზუგდიდის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს დააარსონ დ. ზუგდიდში სამუშაო არტელი „შრომის ბირჟა“.

◆ 2 ივნისს ფილხაზ რიჟინაშვილის დუქანში ელექტრონის სინათლის მეოხებით გაჩნდა ცეცხლი და დაიწვა 500 მანეთის ფართალი. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა დროზე მიუსწრო და ცეცხლი ჩააქრო.

◆ შორაპნის მაზრის უფროსი ატყობინებს გუბერნატორს, ცნობილი ავაზაკები საჩინო წიქარიშვილი და ბაგრატ მეგრელიშვილი პოლიციამ შეიპყრო[illegible].

◆ წელს რუსეთის იმპერიაში მოსავალი საშუალოზე ნაკლები [illegible] სანუგეშო პირი უჩანს, მხოლოდ ციმბირისა და რუსეთის ზოგიერთ [illegible] კავკასიაში თბილისისა და ყარს-ერევნის გუბერნიებში ჯერჯერობით მოსავალს საშუალო პირი აქვს. ცნობები არ არის ქუთაისის გუბერნიიდან და სოხუმ ფოთ-ბათომის ოლქიდან.

◆ ქართულ გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსია ქუთაისიდან გაემგზავრება 20 ივნისს. მოგზაურობის მონაწილე ქუთაისს უნდა გამოცხადდეს 19 ამ თვეს. ვადა მოგზაურობისა 25 დღეა. ექსკურსიაში მხოლოდ 12 კაცი უნდა შედიოდეს. ტანისამოსი და სხვა ხელსაწყო თითოეულის სურვილზეა დამოკიდებული. შემოსატანი ფული 15 მანეთი წარდგენილი უნდა იქნას 13 ამ თვემდი. ხოლო ქუთაისში ამ ქამათ არ მყოფთ ფული უნდა გამოუგზავნონ 13 მდე ი. გველესიანს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა № 8; 13 შემდეგ ჩაწერა აღარ მოხერხდება.

◆ ქუთაისის მაზრის მარშლის თანაშემწეთ მეფის მოადგილემ დაამტკიცა ალექსანდრე გიორგის ძე ლორთქიფანიძე

◆ დღეს, დღის პირველ საათზე, ქუთ. გუბერნატორის გრაფ გუდოვიჩის თავჯდომარეობით შესდგება, საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს სხდომა. სხდომაზე გაირჩევა შემდეგი საკითხები. ა) სოხუმის ქალაქის საბჭოში საქმეების გარჩევის წესრიგი. ქ. ფოთის მცხოვრების ბ-ნ ქოიავას საჩივარი, რომელიც შეეხება ქალაქის „კონკის“ იჯარით უკანონო გაცემას და სხვადასხვა კრებო პირების საჩივარი ქუთ. ქალაქის გამგეობის წინაალმდეგ.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „სკოლა და ოჯახის“ მორიგი მე 5№ ჟურნალში შინაარსიანი წერილებია მოთავსებული.

◆ შორაპნის მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლმა წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს დ. საჩხერეში 24 მაისს დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის წესდება. ამასთან წინამძღოლი სთხოვს გუბერნატორს, რომ კომიტეტს 1 წლის განმავლობაში ექნეს უფლება შეკრიბოს შემოწირულება არა უმეტეს 100,000 მანეთისა.

◆ კვირას, 5 ივნისს, იყო დანიშნული დ. კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს წევრთა კრება, კრება, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, 12 ივნისისათვის გადაიდვა. მეორე კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

◆ 30 მაისს დ. ახალ-სენაკში დაიწვა

## სადღეისო.

### (ძლვნად ჩვენს ფუტურისტებს)

ჩვენი „ფუტურისტები„ აღარ ისვენებენ! მათზე ვერ გასჭრა ვერც აღშფოთებამ ხალხისდაკვირვებულშვილებისამ; ვერ იმოქმედა ვერც ჩვენი პრესის დიდმა ნაწილმა; გულის ხმაში ვერ ჩააგდო იგინი ვერც უბრალო, სულ უბრალო მოთხოვნილებამ ზრდილობისამ.—როცა სიშიშვლე შენი არცხვენს სხვას, თუ ჩვეულებრივი ტანისამოსი არ მოგეპოვება, ფოთლებით მაინც უნდა დამალო შენი სამარცხვინო სიშიშვლე!... პირ იქით, იმდენად გათამამდენ ეს ჩვენი „ფუტურისტები“ რომ ერთი მათგანი საჯარო ლექციის წაკითხვასაც კი აპირებს დღეს საღამოთი და ქუთაისის საზოგადოებას „კამათშიაც“ იწვევს.

ჩვენ არ გვაკვირვებს ჩვენი „ფუტურისტების“ ასეთი გამბედაობა, რომელსაც მდაბიო ენით თავხედობა ჰქვიან. არ გვაკვირვებს იმიტომ, რომ თვით ჩვენი „საზოგადოება“ არის ამაში დამნაშავე.

სიტყვას „საზოგადოებას“ იმიტომა ვსვამ ბრჭყალებში, რომ ჩვენ ვგულისხმობთ არა მშრომელსა და იდეურ ხალხს, არამედ ვგულისხმობთ იმ ნაწილს ჩვენის ხალხისას, რომელიც შემდგარა გადაგვარების გზაზე, და ვერ ამჩნევს რა ამ თავის უბედურებას, ქვეყნის „მარილათ კი მოაქვს თავი“. ჩვენ ვგულისხმობთ იმ ნაწილს ჩვენის ხალხისას, რომლისთვისაც ევროპიულსა თუ რუსულ განათლებას გზა-კვალი აუბნევია და ყოველისმხრით მოწყვეტილს მშობლიურ ნიადაგიდან, საუბედუროდ, აქვს თავისი „ჰონორი“ და ყოველივე სიგლახეს ტაშს უკრავს, რაკი ეს სიგლახე მის თავმოყვარეობას აკმაყოფილებს.

ჩვენ ვგულისხმობთ იმ ნაწილს ჩვენის ახალ-გაზდებისასა თუ ძველგაზდებისას, რომელზედაც არა მოქმედებს არავითარი საბუთი, სიტყვა მართალი და სწორი, არა მოქმედებს მთელი ქვეყნის მეცნიერებაც და ყოვლად გზა-აბნეულნი ემხრობა იმას, რაც მიჩნეულია უსირცხვილობად, გონების გარყვნათა და ზნეობის დაცემულებად

ეს „საზოგადოება“, ეს ნაწილი ჩვენის ხალხისა არის დამნაშავე იმაში, რომ დღეს უბრალო საანბანო ჭეშმარიტებანიც კი სადავო გახდარა ჩვენში და იმის მაგივრად, რომ ერთ ხმად იქმნეს დაგმობილი ყოველივე სიგლახე ჩვენის ცხოვრებისა, ეს ვითომდა ნასწავლ-განათლებულნი, ვითომდა ხალხის გულშემტკივარნი საჯაროდ მხარს უჭერენ ველურ ინქტიკტებს და ხელოვნების უმაღლესს საფეხურზედაც კი აჰყავთ ბოდვა და ბურუსიანი ზმანება სქესობრივ ნიადაგზე დასნეულებულთა!..

ჩვენი მოსვლა, ჩვენი ყოფნა ჩვენს მომავალში-ო! აი რა უნდა „მოგვახსენონ“ ჩვენ იმათ, ვინც თვით მზეს უწოდეს ბინძური და ვისიც ცხოვრების იდეალია: „ყოველგვარი ორგია და გამრავლება დაურიდებელი, დაუზოგველი“.

საბრალონი! ნუ თუ არ იციან, რომ „მათი მოსვლა“ დაჰგმო მთელმა განათლებულმა და მშრომელმა ევროპამ, და წყეული მაკს ნორდაუდან და გათავებული კოგანით; ნუ თუ არ იციან, რომ „მათი ყოფნა“, ყოფნაა გადარეულებისა ჭკვიანებს შორის; ნუ თუ არ იციან, რომ „მათი მომავალი“ სირცხვილი და დავიწყებაა ადამიანობისა, კაცურ-კაცობისა, შრომისა, ძმობა-ერთობისა?*)

მარტო ჩვენისთანა უვიცსა, გზა-აბნეულსა, უმეცარსა და დაქსაქსულ ხალხში თუ შეუძლიათ მათ პარპაში, თორემ არც ერთ ფხიზელსა და გონება-ზნეობა მახვილსა და ფაქიზს საზოგადოებაში, მათ არც არავინ მოუსმენდა და ვერც ვერავის ვერაფერს „მოახსენებდენ“.

ჯერ ისეთ ქვეყნებშიაც კი, სადაც ხალხის ერთი ნაწილის სიმდიდრემა და ფუფუნებამ იქამდის მიაღწია, რომ ყოველგვარი არაბუნებრივი სურვილი და ამ სურვილის დაკმაყოფილება „კანონიერად“ ითვლება, იქაც კი „მათმა მოვლენამ“ (მოდერნისტ-დეკადენტ-ფუტურისტ-ბოდლერ-ვერლენების ორგიამ) ზიზღი თუ არა, სიბრალულის ღიმილი მაინც გამოიწვია და მათ მხოლოდ დეგენერატებათა და ლომბროზოს გმირებათა სთვლიან, და რაღა უნდა დაუძახოთ ჩვენ—ქართველებმა—მათ თუ არა: „დედის უბედურნი და უძღებნი შვილნი“, იმ საცოდავი ქვეყნისა, რომელსაც ჯერ შესწავლილი არა აქვს თავისი სამშობლოს ნორმალური მწერლობა, იდეალი და გულის ტკივილი?

განა მათი „მოვლენა“ დაცინვა არ არის ჩვენის ლიტერატურისა, გათახსირება არ არის ჩვენის სიტყვა-კაზმულობისა, შეგინება არ არის ჩვენის წმინდათა წმინდისა?..

ხალხმა, ჩვენმა ქართველმა ხალხმა, მასსამ, ჯერ ანბანი არ იცის, ეს ხალხი დაჩაგრული, დაბეჩავებული, მიწასთან გასწორებულია, ეს ხალხი სულ „ყამირს დაჰყურებს თვალით, რადგანაც ზეცა წაართვეს ძალით“ და „მათი მოვლენა“ განა ნორმალურია, განა ნაყოფია ჩვენის პოლიტიკურ-ეკონომიურის ცხოვრებისა? ან რა უნდა ასწავლონ მათ ჩვენ ხალხს? „იდუმალება პოეზიისა და „ლექსის, გრძნეულება“-ო?! ხა, ხა, ხა. რა სასაცილონი და თან რა საბრალონი არიან! მათ უნდა გადააჭარბონ შოთა—ილია—აკაკი—ვაჟა—ცახელის პოეზიის „იდუმალებას“ და აჯობონ ჩვენი ხალხური ლექსის „გრძნეულებას“. ეხ შე ოხერო კადნიერებავ, რა ცუდი საქონელი ხარ!..

თუმცა ჩვენი „ფუტურისტები“ ჯერ ისე არ გაგიჟებულან, რომ ტიტვლები გამოცვინდენ ქუჩაში და გამვლელ გამომვლელ მანდილოსნებს დაერიონ, მაგრამ, რაცა სთქვეს და რასაც სჩადიან, ისიც ნათლადა ჰმოწმობს, რომ ყოველივე „იდუმალება პოეზიისა“ დაუთურგნავთ, და ყოველივე „გრძნეულება ლექსისა“. წაუბილწავთ, ვინაიდგან „სიტყვა და ლექსი“ მხოლოდ მაშინ არის იდუმალი, თუ გრძნეული, როცა ის ასწავლის ხალხს სიკეთეს, ვაჟკაცობას, სიბრალულს, სიყვარულს, ძმობა-ერთობას, სიმართლიანობას, როცა ის ასწავლის კაცს, რომ ის პირუტყვი აღარ არის, რომ მისი დანიშნულებაა „არა ყოველგვარი გიჟური ორგია და სიტიტვლის გაღმერთება“, არამედ შეგნება, შესწავლა ცხოვრებისა, გაუმჯობესობა ურთიერთობისა, აღმოფხვრა ცხოველობისა და დაახლოვება ღმერთთან!..

ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ განგებამ იმიტომ კი არ მოგვცა სიტყვა (ენა) და „ლექსი“, რომ ვარაკუნოთ ის, რაც ენაზე მოგვადგება და რასაც ვნებათაღელვით აღტყინებულ-დაბნეული გონება გვიკარნახებს, არამედ ვსთქვათ და ვიქადაგოთ ის, რაც აღზრდის ადამიანს გონებრივათა და ზნეობრივად, რაც ამოსწავს ადამიანში ველურ-პირუტყვულ სურვილებს და რაც აღუნთებს მას გულში ღვთაებრივსა და ფაქიზს გრძნობას. ხელოვნება და „იდუმალება ლექსისა“ თუ სიტყვისა, ბოდვასა და პითიასებურ ლუღლუღში კი არ არის, არამედ ხელოვნება არის ხალხთა ურთიერთობის ერთი საშუალებათაგანი, რომლის მეოხებითაც ერთისაგან მეორეს უნდა გადაეცეს ფაქიზი გრძნობა და მაღალი იდეალი და უნდა გადაეცეს რაც შეიძლება სადა, მარტივი და ადამიანურის სიტყვა-პასუხით.

ძალად დაკლაკვნა დ გაუგებრობა სიტყვა-ლექსისა ავადმყოფობაა ტვინისა და შეგინებაა პოეზიისა, ვინაიდგან პოეზია ბუნდოვანებაში კი არა არის, პეზია სინათლესა და აღმაფრენაშია...

ჩვენს „ფუტურისტებს“ კი სურთ შემუსრონ „მარგალიტები წარსულისა“ (ადამიანურ ღვთაებრივი სიტყვა პასუხი, თუ ლექსთ წყობა) და დაამყარონ ბოდლერვერლენური გიჟმაჟობა „ლექსისა“, რომელი გიჟმაჟობისაც არც ერთს ჭკუათამყოფელ ადამიანს მთელს ევროპასა და რუსეთში არა ესმის-რა და ყველა გაურბის კიდეც.

რათ, რათ მოეპრიანათ ჩვენ „ფუტურისტებს“ ან ჩვენი ლექსის შერყვნა და

*) ჩვენ საზოგადოდ ვლაპარაკობთ დეკადენტ-ფუტურისტებზე. ჩვენებიც ხომ მათი ანარეკლნი არიან, მათი ბრმა მიმდევარნი. ი. ი.

8 თვალი ორსართულიანი სახლი დავით ქვანიასი; ზარალი 25,000 მანეთს აღემატება.

✦ ს. ილორის (სენ. მაზ.) მცხოვრებ გიორგი თელიასათვის კერძო ინტერესით თოფი უსვრიათ დ დაუჭრიათ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მას დახვედრიან გზაზე ა3. თელია, ბახვა გიგინეიშვილი და არსენ გაბუნია. დაჭრილი ქუთაისის საავადმყოფოში მოუთავსებიათ.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის კანცელარია ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, რომ მეფის მოადგილემ ნება დართო გადააკეთონ ქალთა კერძო პროგიმნაზია ფხაკაძისა ლანჩხუთში ,,ქალთა კერძო გიმნაზია''-თ. თანახმათ 1914 წ. 1 ივლ. კანონისა, მოწაფეების გამოცდები სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლის თანადასწრებით მოხდება.

✦ მთავრობამ გახსნა კრედიტი ორბელის (ლეჩ. მ.) ხიდის გასაკეთებლათ 14,510 მ. 92 კ. ხიდი უნდა გაკეთდეს საოჯახო წესით.

✦ მთავრობამ უკვე დაამტკიცა ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წესდება.

✦ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ ქუთ. გუბერნატორს წარუდგინა სია იმ პირთა, რომლებთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა 1916—20 წ. ქალაქის რწმუნებულთა არჩევანში. არჩევანი მოხდება 20 აგვისტოს.

✦ ქალაქის გამგეობამ დეპეშით აცნობა გამგეობის წევრს ბ-ნ არდიშვილს, იშუამდგომლოს შაშკოვსკის წინაშე, რათა პარამანოვს მისცენ ფქვილისთვის ვაგონები. ამავე გამგეობამ ქ ფოთში კაპეიკინს დეპეშით სთხოვა, გამოგზავნოს ფქვილი, რადგანაც ქალაქი, უფქვილობის გამო, ცუდ მდგომარეობაში არის.

✦ დღეს, საღამოს 8 ნახ. საათზე, ქალაქის თეატრში გაიმართება საუბარი ,,ცისფერ ყანწებზე''.

✦ ქუთაისის საგუბერნიო აგრონომი ბ-ნი ვასილევსკი 8 ივნისს მიწვეულია თბილისში საოლქო თათბირზე, სადაც გაირჩევა ქუთაისის გუბერნიის სასოფლო მეურნეობათა აღწერის საკითხები, ვინაიდან ის ბლანკები, რომელიც ამ ჟამათ შედგენილია, არ შეეფერება ჩვენს ქვეყანას და საჭიროებს რამდენადმე შეცვლას.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა იარაღის ნება დაურთველათ ტარებისთვის 15 მ ან ერთი კვირის ციხით დააჯარიმა ქუთ. მცხოვრები სევერიან ტყაბლაძე.

✦ ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებას მთავრობამ აცნობა, გამოუცხადოს მეხილეებსა და მემწვანილეებს, რომ 5 ივნისიდან ქ. ბაქომდი შეიძლება ხილი და მწვანილი გაიგზავნოს ვაგონების განსაკუთრებული რიგის გარეშე.

✦ ამავე სამეურნეო საზოგადოებას დეპეშით ატყობინებენ, რომ ამხანაგობის მიერ გამოწერილი შაბიამანი უკვე მოსულია ს. ბალაჯარაში. გუშინ გუბერნატორს წარუდგა დეპუტაცია და სთხოვა დაუყოვნებლივ გამოიგზავნოს ს. ბალაჯარიდან შაბიამანი. გუბერნატორმა შესაფერი განკარგულება უკვე მოახდინა ამის შესახებ

## გაკვრით,

„ჩვენ მეგობარს და სახალხო ფურცელს“.

ამ უკანასკნელ დღეებში ეს პატივცემული გამოცემები ჩემს სახელს მრავალჯერ იხსენიებენ. საგულისხმოა მათი კილო და აგრეთვე საგანიც მათი წერისა.

იმის კვლევასაც კი შეუდგენ, თუ რა ჯამაგირს ვიღებდი დეპუტატთა საკრებულოში და რამდენი ხანი ვცხოვრობდი ქუთაისის გარეშე. იქნებ ამას მართლაც დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს? მე კი მგონია, რომ ის მოვლენა, რომ მე ვღებულობდი ჯამაგირად 100 მანეთს და არა 1000 მხოლოდ ჩემთვის იყო საყურადღებო.

ან ჩემი ქუთაისიდან წასვლა ამ ზომად რად აინტერესებს პატივცემულ გამოცემებს. მათ რომ არ ენებებიათ იმის გამოკვლევა, თუ რამდენად დაზარალდა მით ჩემი სამსახური? ესეც რომ იყოს, მე ხომ საზოგადოების წინაშე საპასუხისმგებლო რამ თანამდებობა არ მჭერია.

უმორჩილესად ვსთხოვ პატივცემულ გამოცემების პუბლიცისტებს ჩემს შესახებ კალმის ვარჯიშობას თავი დაანებონ.

თუ მათ ჯამაგირებისა და თანამდებობის საკითხის გამორკვევა აინტერესებთ, შეიძლება ამისთვის უფრო ტიპიური მოვლენების გამონახვა და მისი შესწავლით ჩვენ მრავალმნიშვნელოვან დაწესებულებების შინაური ვითარების გამოკვლევა, მოსამსახურეთა ჯამაგირების რაოდენობის და თვით მოვალეობის აღსრულების გათვალის წინებაც—კი.

რასაკვირველია, ჩვენს ცხოვრებაში სხვა, კიდევ უფრო საჭირბოროტო საკითხებიც მოიპოვება გამოსარკვევი და შესასწავლი და ეს უფრო უნდა იპყრობდეს უველა იმის ყურადღებას, ვისაც ჩვენი ეროვნული საქმე აინტერესებს და არა მხოლოდ გაზეთის ქაღალდის გავერანება ამ საშინელს სიძვირეში.

მაგრამ თუ პატივცემულ გამოცემათა პატივცემული პუბლიცისტები „ჯამაგირებისა“ და „ოტპუსკების“ საკითხს ასე ფართე ნიადაგზე დააყენებენ, ან შეუდგებიან იმის გამოკვლევას თუ ვინ არის შესაფერ თანამდებობაზედ, სამსახურში თუ სხვა რა გაეწყობა, ჩვენც შევეცდებით ჩვენი მცირე წვლილი შევიტანოთ ამ დიად ეროვნულ საქმეში, რომლის ინიციატივას მათ თავიდანვე უდავოთ ვუთმობთ.

იქნება მან შორსაც წაგვიყვანოს, მაგრამ რა უყოთ? თავს იმით მაინც ვინუგეშებთ, რომ მოვარჯიშეთაგან დაწყებული საქმე უთუოდ დახელოვნებულ კალმებსაც ახმაურებს, და სხვა თუ არა, უკეთესი სასეირო მაინც იქნება.

მანამდის კი დავშთები მათდამი პატივის ცემით

ალ. სათიანი

---

ან ჩვენი ენის გაბუნდოვანება?...

ვინ მისცა მათ ამის ნება, ან ვის შეუძლია მისცეს მათ ამის უფლება?

— გრ. რობაქიძეს?

— კიტა აბაშიძეს?

პირველი თითონ ,,ფუტურისტ პორნოგრაფისტია'' და არც არაფერი გაგვიკვირდება მისგან, მაგრამ მეორემ კი კარგად უნდა იცოდეს, რომ ,,ფუტურისტობა'' და მთელი ,,ხელოვნება'' გამაძღარ-გადაგვარებულ—ნერვებ მოდუნებულ - ცხოვრება მოყირჭებულ—სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულ ბურჟუა კაპიტალისტებ მეშჩანებისა დაბალი და ხალხის გამრყვნელი ხელოვნებაა, რომელსაც ვერც ერთი მკვლევარი ქართულის მწერლობისა მხარს ვერ დაუჭერს, თუ კი იგი მტერი და მოღალატე არ არის ხალხის უკეთესის მომავლისა.

თუ ჩვენმა ,,ახალმოდის მგოსნებმა'' არ იციან, კიტა აბაშიძემა და სხვა ჭკუათა მყოფელებმა მაინც უნდა იცოდენ, რომ მარტო სიტკბოებაზე დამყარებული ხელოვნება დაბალი ხარისხის ხელოვნებაა და იგი ყოველთვის იდევნებოდა და უნდა განიდევნოს კიდეც, თუ არ გვინდა, რომ ისევ პირუტყვის საფეხურამდე ჩამოვიდეთ და ,,ძე კაცისა'' ძედ ცხოველისა არ გადაიქცეს!...

მაშ, შორს ჩვენგან ყოველივე „მოდერნიზმ—დეკადენტობა ბოდლერიზმი“- ეს „პოეზია“ ნერვებ აშლილ ვნებიანთა და გაუმარჯოს ავადმყოფთა ხელოვნებას კი არა, გაუმარჯოს ხელოვნებას, საღს, წმინდას, მართალს:—დამხატველს ყოველი ხალხის, ერის, კაცობრიობის ტანჯვა-წვალებისას—სამკურნალოდ მათდა, მქადაგებელს საკაცობრიო სამო იდეალებისა, მაჩვენებელს გზათა სწორეთა და წმინდათა, აღსასვლელად თითოეულის ჩვენთაგანისა ღვთაებამდე.

ძირს ყოველივე ქვენაგრძნობისა და მხეცობის მქადაგებელი „ხელოვნება“. ეს საჭირო არ არის ისედაც გადუხჭირებულ ცხოვრებისათვის, ისედაც გზა კვალ აბნეულ და გადაგვარებულ ჩვენის ახალგაზრდობისათვის. .

მას სჭირია საგმირო იდეალი და არა აღვირახსნილობა ვნებისა მას სჭირია ხელოვნება— მასწავლებელი სიმართლისა, ამზრდელი წრფელი გრძნობისა, შემაყვარებელი შრომისა და წინმსვლელობისა და ვინც ხელოვნების დანიშნულებას ამაში არა ხედავს, ის მტერია თვით ახალგაზრდობისა, თვით ქვეყნისა, თვით მომავლისა! .

და როცა ქართველი ხალხი გახდება პატრონად თავისი თავისა, როცა შეიგნებს, თუ როგორ ატყუებდენ მას ბატონები დღევანდელ მდგომარეობისა და ამ მდგომარეობის განმამტკიცებელი ხელოვანები—მათ შორის ჩვენი „ფუტურისტებიც“, რისხვა მისი იქმნება უსამზღვრო და საყვედური მისი იქმნება დაუსრულებელი.

ერიდეთ, ყმაწვილებო, ამ რისხვას, თავი დააღწიეთ ამ საყვედურს ვინაიდან ერთადერთი ხელოვნება ის ხელოვნებაა, რომელიც ქადაგებს იდეალებს ამაღლებისას და ძმობა-ერთობისას და არა გაპირუტყვებას: ვნებათა-ღელვისა და „გიჟურ ორგიების“ აყოლას.

ისვ — ის.

## დიპლომატიური ფურცელი.

ამერიკის პრეზიდენტის არჩევნები.

მოახლოვდა დრო ჩრდილო ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებისა და გაჩაღდა ჩვეულებრივი კამპანია. ყოველმა პარტიამ წინასწარ აირჩია კანდიდატი და შეუდგა მის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევას. წრევანდელს არჩევნებს სულ სხვა ხასიათი მიეცა ომის წყალობით. ამ არჩევნების გარშემო ისეთივე ბრძოლა ასტყდა მოკავშირეთა და გერმანეთის ინტერესებისა, როგორც მთელ შტატების ცხოვრებაშია. მოკავშირეთა მომხრეები უკმაყოფილონი არიან ვუდრო ვილსონის სუსტი პოლიტიკისა და ისეთი კანდიდატის წამოყენებას ლამობენ, რომელიც, მათის აზრით, ჯეროვანად დაიცვას შტატების ინტერესებს და ომს გამოუცხადებს გერმანეთს. ამას არა ფარავდნენ და გაზეთების ფურცლებზე ცხარე წერილებს ათავსებდენ ამის თაობაზე. რაც შეეხება შტატებში მცხოვრებ გერმანელებს, ისინი შედარებით ცუდ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი. ისინი მთელ შტატებში სულ 20 მილიონს მცხოვრებს შეადგენენ და ღია აგიტაციას თავისი კანდიდატის სასარგებლოდ ვერ გაწევდნენ. ამიტომ მხარი დაუჭირეს რესპუბლიკანელთა კანდიდატს იუზას. იუზა ეხლანდელ პრეზიდენტთან შედარებით უფრო გულმტკივნეულია და მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრეა. რესპუბლიკანელთა პარტია მრავალრიცხოვანია შეერთებულ შტატებში და გერმანელებს დიდი იმედი აქვთ იუზას გაყვანისა. მით უმეტეს, რომ მას პატიოსანი და ენერგიული საზოგადო მოღვაწის სახელი აქვს მოხვეჭილი შტატებში და მას ბევრი თავის პარტიის გარეშე მყოფი მისცემს ხმას. ამნაირი ხერხით ამერიკელ გერმანელებს იმედი აქვთ გადაარჩინონ გერმანეთი ამერიკასთან ომს.

ამას გარდა იუზას პრეზიდენტობას ის უპირატესობა ექნება გერმანელთათვის, რომ ზავის პირობების შემუშავების დროს იგი მიუდგომელი იქნება, და ომის დროს კი პრაქტიკულ ნაბიჯს გადასდგამს ზავის ჩამოსაგდებად.

დიპლომატი.

## ომისაგან გამოწვეული დრამები.

(წერილი ს. კორბოულიდან—ზემ. იმერეთი).

აგერ საცაა ორი წელიწადი სრულდება, რაც მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ამ უსაშინელეს ომში ჩაება და დასასრული ჯერაც არ უჩანს. თანანედროვე ომმა ბევრი ოჯახი შემოსა ძაძებით და ბევრს მშობლებს, თუ ახლად შეყვარებულ ცოლ-ქმართ, თუ საყვარელ და-ძმათ ცხარე ცრემლი აღვრევინა ომის საშინელებამ. ამის შესახებ მრავლათ იყო წერილები მოთავსებული ჩვენს პერიოდულ გამოცემებში, მაგრამ მეც მინდა რამოდენიმე ამისთანა დრამები გამოვაქვეყნო, რითაც მინდა ვამცნო ჩვენს მტერ-მოყვარეს, თუ როგორი მონაწილე შეიქნა ქართველი ხალხი ამ უმაგალითო მსოფლიო ტრაგედიისა..

მოგეხსენებათ, რომ ქართველი მეომრები მრავლათ გზავნიან ომის ასპარეზებიდან წერილებს და სწორეთ ამ წერილებშია ჩამარხული მათი გულისთქმანი და სიყვარული, როგორც სამშობლოისა, ისე ნათესავ მოკეთეებისა. და განა მე რომ არ მოგახსენოთ, პატ. მკითხველებო, თქვენ ცოტა გექნებათ ამნაირი წერილები წაკითხული? მაგრამ ამ მსოფლიო ტრაღედიაში დასჯილი ოჯახების სიწყნარე ხანდისხან დიდათ განირჩევა ერთიმეორისაგან. მაგ. სოფ. კორბოულიდან წაიყვანეს ერთი წითელბილეთიანი გლეხი მალაქია კაპანაძე, რომელსაც ჰყავდა ანგელოზივით სამი პატარა ქალიშვილი, უფროსი მათგანი 9 წლისა იყო. დიდი მწუხარება განიცადა საწყალმა მისმა ცოლშვილმა ურთიერთ დაშორების ჟამს, მაგრამ აბა რას გააწყობდენ. ვაჟი განწესებულ იქნა ავსტრიის ფრონტზედ, შარშან მარიობისთვის პირველ რიცხვებში. არ გასულა მისი წასვლის შემდეგ ორი კვირა, რაც იმის ოჯახში გაჩნდა ყელჭირვება და სამი მისი ბავშვი ერთ ღამეს მოაგრჩო და ცოლიც სიკვდილის პირზედ მიაყენა. ძალიან დიდ ხანს არ ატყობინებდენ საწყალ მალაქიას მისი მოხუცი მშობლები შვილების სიკვდილს, მაგრამ იმას სხვისგან გაეგო, საწყალს ამ ამბის გაგონებაზე კინაღამ თავი მოეკლა მრავალი წერილი მოიწერა საცოდავმა ამის შემდეგ სახლში და დედმამას ემუდარებოდა, შემატყობინეთ, ჩემი მეუღლე, ჩემი საცოდავი ანუშკა თუ მაინც ცოცხალი დამირჩაო. აი, ამა წლის 5 მაისის მოწერილ წერილში რას სწერს თავის მეუღლეს: „ახლა მოგიკითხავ ჩემო საცოდავო ანუშკა! ძალიან დიდი სიყვარულითა და ნახვის ნატვრით და ტუჩებზე კოცნით, შენ გენაცვალე, რაღაი შენ ცოცხალი გადამირჩი, ჭირი მოგჭამე, სხვას რაღას დავეძებ. ნუ, ნუ იტირებ შენი ჭირიმე ჩვენს გვრიტებს, რომ ეგების ღმერთმა საიქიოს მაინც გვაჩვენოს ისინი“-ო. დედ-მამას კი ემუდარება, რომ ჩემი ანუშკი მინუგეშეთ და თუ ცოცხალი დავიბრუნდით, სამაგიეროს პატივისცემით გადაგიხდითო.

დანარჩენთა შესახებ თუმცა წერილები არ გვაქვს ხელთ, მაგრამ ზოგიერთი მათგანის შესახებ ოჯახებში დატრიალებული დრამები სწორეთ რომ დამალონებელია. მაგალითად იყო ერთი ღარიბი ოჯახი ვახტანგა მაჭარაშვილისა, რომელიც გადაიცვალა ამ ოცი წლის წინათ, იმაზედ უღარიბესი ჩვენს სოფელში არავინ მოიძებნებოდა. ცოლიც მისი ჩქარა გადაიცვალა და დარჩათ ორი ობოლი ვაჟი. ერთი გვიმრით გადახურული ფაცხის მეტი იმათ ბარობაზე არა დარჩენილა რა საბატონო სანადელო მიწები ბატონს ეკუთვნოდა. აი, წამოიზარდენ ეს ორი ვაჟი. მამული ბატონისაგან, დაიხსნეს, მშვენიერი ქვის სახლი დაიდგეს, ეზო დაამშვენეს ბეღელი სასიმინდე-ბოსელ-საბძლის წამოდგომით და ყოველ წელიწადს ორ-ორ სასიმინდეს ავსებდენ. ცოლშვილს მოეკიდენ; მაგრამ უფროსი იმათგანი შავი ქვის მაღაროში მოიჭეჭყა, ხოლო უმცროსი დავითი მაინც არ შეუშინდა რძალ-ძმისწულების დაობლებას; ობლები ჩიტებივით დაზარდა და თავისი მეუღლითა და ოთხი მარგალიტი შვილით ქვეყანას შეხაროდა, მაგრამ იგი პირველი მობილიზაციისათანავე ომში გაიწვიეს დ მისი 7 სული ობოლი ძმისწულები დ შვილები ობლათ დარჩენ. საწყალმა მისმა ცოლმა მარომ, სხვისი ვენახ გარემოები დამუშავებულები რომ დაინახა და თავისი კი ოხრათ გაპარტახებული, ველარ აიტანა სიმწუხარე, ჭკუაზედ შეიშალა და წასული წლის ივნისის თვეში დიდს ტანჯვა-წვალებაში დალია სული. დაობლებული ბავშვები წიწილებივით დაიფანტენ, მადლიანმა ადამიანებმა თითო თითო დაირიგეს; ქვრივი რძალი კაი ხნის გათხოვილი არის აშენებული ოჯახი მიიმგვრ მოიმგვრა და დაიქცა. ვენახი გაპარტახდა, გარემო გაუქმდა და აქნობამდის სიცოცხლით სავსე კარ მიდამო უდაბნოს დაემსგზავსა საწყალი დავითი ომიდან დასნეულებული დაბრუნდა და თვალცრემლიანი ხან ერთთან მიდის თავის შვილთან და ხან მეორესთან, და ვინაიდან თავის გადარჩენის იმედი არა აქვს ყველას იმათ შებრალებას სთხოვს .... ...

სწორეთ 18 წელიწადი შესრულდა, რაც ერთ ქვრივ დედაკაცს თამარა ცუხიშვილისას თავისი წვითა და დაგვით გამოზდილი შვილი უეცრად გარდაეცვალა, მაგრამ თავს იმითი ინუგეშებდა, რომ გარდაცვალებულის ცოლი, პატარძალი ქეთო ორსულათ დარჩა და ეგება ღმერთმა შემიბრალოს მის სახელზე საძეო გამომიბრუნდესო; მართლაც, რძალს მშვენიერი ვაჟი შეეძინა და ორივე რძალ დედამთილმა მის აღზრდას შეალიეს თავის ყმაწვილ-ქალობა, მაგრამ წარსული წლის იმათი ზაქრო სასალდათოდ აწერეს და, ვინაიდან ყოველივე შეღავათი ამ ჟამად მოსპობილია, ისიც ომში გაიწვიეს. მაისის თვეში გაშორდა თავის საყვარელ ბებიას და ტკბილ ძუძუკოს, მაგრამ მას დღეს აქეთ საწყალ ქვრივებს მისი აღარავითარი ამბავი აღარ მოსვლიათ და იმათი საცოდაობით ქვეყანა იწვის ჰე, რომელი ერთი ასწეროს კაცმა...

მღ. ვლ. მაჭარაშვილი.

## პატარა ფელეტონი.

ბევრი ჰენიოსი კაცი ზის „კავკ. სლოვოს რედაქციაში...

მაგრამ ყველაზე ჰენიოსი და დემოკრატ-მებრძოლია იუსტინე სემენოვი ..

სემენოვმა უკვე დაამთავრა „საერობო კომპანია“...

ყველა დემოკრატობის უარმყოფელს ზურგზე ბოლი აადინა. .

„რეჩი“, „რუსკ. ვედ“, „რუსკ. სლოვო“ და „ოფიციოზი“ „ნოვოე ვრემია“ თანამეომრებად გვერდში ამოიყენა...

საერობო კომპანიის დამთავრებისას, აი რა ჰენიოსობა მოიმოქმედა ...:

სემენოვმა ყველა „დემოკრატი“ და დაშნაკცაკანი პეტროგრადელ კადეტთა „რეჩს“ თავის მფარველობაში მიაღებინა...

„რეჩმა“ სომხის „დაშნაკცაკანები“ დესპოტ ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლ გარიბალდებად დანათლა დ დასძინა; რომელ ერსაც ასეთი პირდაპირი და შეუდრეკელი მებრძოლები ჰყავს, ავტონომია უსათუოდ „იმათისაო“...

გახარებული იყო ი. სემენოვი... იჯდა „კავკ. სლოვოს“ რედაქციაში და სულ სურნელოვან ყვავილების ყნოსვაში ატარებდა დროს...

მაგრამ სიამოვნება არ გამოდგა ხანგრძლივი...

ერთს შავბნელ ღამეს იუსტინეს დაესიზმრა, ვითომ იგი ქართველების მამულებში იჯდა. თავზე მასთან დიდი გვირგვინი ედვა და ხელში მეფის სკიპტრა ეპყრა .. ამ დროს მასთან მივიდა საყვარელი მილიუკოვ – ეჩმიაძინელი და უთხრა: ძვირფასო ძმაო, რა გვეშველება მთელი ჰაიასტანი დავინახე და ერთი სომეხი ვერ აღმოვაჩინე... ვიღა მოგვცემს ავტონომიას?..

სემენოვს ცხარე ცრემლები გადმოსცვინდა... განა ამიტომ გაღმერთებდი, ძმაო, უთხრა მილიუკოვს...

მეორე დღეს სემენოვი საშინელ გუნებაზე ადგა..

სიზმარი მუდამ თვალწინ უდგა...

დაინახა რა გულ შემოყრილი სემენოვი ჟივლოვზმა ასე მიმართა: გეთაყვა რა დროს მოწყენაა? ნუ თუ შენი ჰენიოსური ნიჭი ასე ჩქარა ამოშრა?

დაიწყე ახალი რამ...

—სემენოვმაც თავი გააქნია, ხელში კალამი აიღო და დაიწყო „კავკასიის პარტიათა შორის უპირველესი პროგრესიული და დემოკრატიული პარტია დაშნაკცაკანები და დასელები...

ეს ორი პარტია მართლაც რომ ყურადღების ღირსია“...

ნამდვილი ჰენიოსური შედარებაა...

ასე, მაგალითად, ყვავი რომ არწივს დაადარო. .

არა, თქვენ სხვა რამ ჰენიოსობას მოელოდით სემენოვისაგან...

მოტყუებულხართ...

ი. იმერელი.

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

ბ.

**ბალღამი**, ცხოველური წვენი, животный сокъ.

**ბედი**, судьба.

**ბიჯება**, шаганіе.

**ბლაგვი**, тупой.

**ბლგუჲ**, тупой.

**ბნელი**, мракъ.

**ბობღანი**, лира.

**ბოროტი**, злой, превратный. Зло.

**ბრკე**, საფუარი, бродило, ферментъ. აქედან ბრკებრივი---ферментативный.

**ბუზრი**, შავი ჭირისაგან გაჩენილი მუწუკი, моровая язва.

**ბუნებითი**, физическій.

**ბჭეთმცველი**, привратникъ (ანატომიური ტერმინია).

გ.

**გაგონება**, გონებით ჭვრეტა, созерцаніе.

**გამოყვანება**, выводить.

**გამოზვერილი**, выпуклый, выпуклость, релефъ.

**გამოძიება**, изслѣдовать.

**განაგდებს**; ცეცხლი განაგდებს სიმხურვალესა, огонь освобождаетъ теплоту.

**განავალი**, ескретъ, ე. ი. ის, რაც გარეითხევა რომელიმე შინაგანი ორგანოდან. ახლა კი ამ სიტყვით სახელვდებთ ნაყრს, ე. ი. იმას, რაც უკანა წელიდან გამოიყრება და რასაც რუსულად ეწოდება – „экскременты“.

**განაყენა**, отдѣлилъ. აქედან განყენებული отвлеченный.

**განბნევა**, разсѣяніе.

**განმავლინებლობითი** (ორგანო) выдѣляющій (органъ).

**განგება**, промыселъ, providentia.

**განგვარებული**, особый.

**განდინდგელდა**, растояло, обратилось въ грязь (რუს თარგ.).

**განეკუთნა**, ღმერთსა განეკუთნა, приблизился къ Богу.

**განეფინება**, распространяется. აქე-

დან: თანგანეფინება, თანგანფენილი— распространяется, распространяющійся.

**განეყოფის**, отличается.

**განზიდვა**, распространяться.

**განზრახვა**, განსჯა, მოფიქრება, ნდომა, სურვილი, обсужденіе, обдумываніе, хотѣніе, намѣреніе.

**განთვსებული**, особнякомь находящійся, отличающійся, одинкій.

**განთქუმაჲ**, წინააღმდეგის თქმა возражать.

**განთხევა**, გარეთ გამოდენა, выѣлять.

**განითესვის**, разсѣивается, развѣтвляется.

**განიკანონებიან**, управляются.

**განიღება**, раскрывается. აქედან: განმღებელი, раскрыватель.

**განიწვალების**, дѣлится.

**განმაჩინებელი**, распорядитель.

**განმასაზღვრებელი**, опредѣляющій.

**განმგონე**, мыслящій.

**განმგონებლობითი**, мыслящее начало.

**განნაწილებული**, разложенный на елементы.

**განრომა**, избѣгать.

**განსაზიდი**, разстояніе

**განსაცდელი**, обстоятельсто, опытъ, испитаніе.

**განსვლა**, выдѣленіе.

**განსჯა**, отдѣлять, различать, разсуждать.

**განტეხილი**, преломленный.

**განუვლთოლველი**, неизбѣжное.

**განუზრახველად**, необдуманно.

**განუკვეთელი**, недѣлимый, индивидъ, особь.

**განუკუთნა**, надѣлилъ.

**განფენა**, распространяться.

**განქიქება**, გაწბილება, შერცხვენა, пристыдить; თავის განქიქება (ქიქება), стыдиться, терзаться.

**განყენება**, განშორება, отдѣлить. ამიტომ სამართლიანად ეწოდება დღეს отвлеченое ს განყენებული.

**განყოფილება**, раздѣленіе.

**განშვერილი**, выпуклый, рельфъ.

**განცდა**, наблюдать, испытать. დანახვა, დაკვრვება, გამოცდა.

**განცვიფრება**, გაკვირვება, изумленіе.

**განწესებული**, предназначенный.

**განწვალება**, გაყოფა, распредѣляться.

**განწვალებული**, დაყოფილი, распредѣленный, раздѣленный. აქედან: ქვეშგანუწვალებს — распредѣляетъ.

**განჩვალვა**, распредѣлять.

**განწვლილვით**, точно, подробно. დღეს ამ სიტყვის ნაცვლად ვხმარობთ მისი ბადალს: „დაწვლილებით".

**განხილვა**, разсматривать, обращать вниманіе.

**განხუმევა**, გარეთ გამოყრა, выдѣлять, испрожняться.

**გარდასრული**, происшедшій.

**გარეგანმავლენელი**, выталкивающій, выдѣляющій наружу.

**გარეგანსაყრელი**, экскременты, колъ.

**გარეგანყრის**, выдѣляетъ наружу. აქედან: ნაყრი: испражненія, экскременты, калъ.

**გარემიქცევა**, отвращаться.

**გარემო**, периферія.

**გარემოთხევა** изливать наружу.

**გარემოთხეული**, выдѣленіе секретъ.

**გარეშეცვა**, охватывать. заключаѣ въ себѣ. აქედან შეგვიძლია ვისესხოთ ორი ტერმინი: გარეშემცველობა (объемъ) და გარეშეცულობა (емкость).

**გარეშემცველი**, окружающій, охватывающій.

**გარეშესაცავი**, обнимвемый.

**გარეშეწერა**, ограничить. აქედან: გარეშემოწერილობა—окружность, აქედანვე შეგიძლია ვიხმაროთ შემდეგი მათემატიკური წინადადება: გარეშემოვწეროთ წრე—опишемъ кругъ.

**გარეწარი**, невнимательный, поверхностный.

**გაცნობა**, распознавзніе.

**გებაჲ**, пребываніе ჰგიეს—пребываетъ, остается.

**გემოჲ**, удовольствіе; აქედან იგემოვნებს, получаетъ удовельствіе, вкушаетъ; გემოვნებით—съ удовольствіемъ; ხედვის გემო - удовольствіе отъ созерцанія.

გასილ წერეთელი.

## პროვინციის ცხოვრება.

**ს. უკანეთი.** 5 ივნისს ლადო დარჩიაშვილის გარდაცვალების მეორმოცე დღეს. ს. უკანეთის მაცხოვრის ეკლესიაში მისი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ. პანაშვიდის და წყებისას მღვდელმა მიხეილ ბუაჩიძემ შემდეგი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: „მიმდინარე ომმა ჩვენს საერთო ოჯახს—პატარა და ლამაზ საქართველოსბევრი ღირსეული შვილი გამოსტაცა ხელიდან. ჩვენისთანა პატარა ერისათვის სულ უბრალო კაცის უდროვო სიკვდილიც კი დიდი დანაკლისია და ისეთი თვალსაჩინო მოღვაწის და ნიჭიერი მამულიშვილის ჩვენგან სამუდამოდ განშორება, როგორიც ლადო დარჩიაშვილი იყო, პირდაპირ თავზარდამცემი უბედურობაა ჩვენთვის

საქართველოს სიყვარულს განსვენებულის გულში ღრმათ ჰქონდა ფესვები გამდგარი და იგი სიკვდილის დღემდის თავის სამშობლოს შეტრფოდა.

ლადო დარჩიაშვილის პუბლიცისტური წერილები ფასდაუდებელია ჩვენთვის სამწუხაროთ, ასეთ სასარგებლო ადამიანს სიცოცხლე არ დასცალდა და უცხოეთში უდროვოთ გამოესალმა წუთისოფელს გამოღვიძებული მადლიერი საქართველო ყოველთვის ღირსეულად მოიხსენიებს მის სახელს. და ვინც ასეთ სახელს სტოვებს ამ ქვეყნად ის მკვდარი არ არის. დიახ, არც ლადო დარჩიაშვილია მკვდარი. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი".—

დროებით უკანეთელი.

## რუსეთი.

სათათბიროს სახალხო განათლების კომისიამ განიხილა საკითხი თბილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ. კომისიამ საჭიროდ სცნო რაც შეიძლება მალე გაიხსნას პოლიტეხნიკუმი

— —

„კონსერვების დამამზადებელმა" კომისიამ 2 ივნისს ქ. ომსკში გაგზავნა თავისი რწმუნებული ლოპტინი. ლოპტინს მინდობილი ქონდა ადგილობრივ მცოდნე პირთა თათბირი მოეწვია და გასცნობოდა კონსერვების დამზადების საქმეს. თათბირის დაწყებისას, შენობას გარს შემორტყმია პოლიცია დამსწრეთა გვარები ჩაუწერია და თათბირი დაუხურავს თუ რამ გამოიწვია ეს ზომა, არავინ იცის

— —

„ნოვოე ვრემია" იტყობინება: კავკასიის მეფის ნაცვლის თანაშემწემ სენატორმა ნიკოლსკიმ სამსახურს თავი დაანებო. მის ადგილას მილიუტინი ინიშნება.

— —

სახ. სათათბიროში გლეხთა შემზღუდავ უფლებათა გაუქმების საკითხის განხილვის დროს ვ. ა. მაკლაკოვმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა. მაკლაკოვი შეეხო რუსეთის გლეხობის მდგომარეობას და მოითხოვა დაუყონებლივ „გლეხთა შემავიწროებელ კანონის" გაუქმება. მაკლაკოვის სიტყვას მემარცხნეებზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. გლეხობას გადაუწყვეტია მაკლაკოვს სამადლობელი ადრესი მიართვას.

— —

1 ივნისს ქ. ხარკოვში გაიხსნა პედაგოგთა ყრილობა. ყრილობაზე ჯერჯერობით 4,000 პედაგოგი იღებს მონაწილეობას

— —

ხარკოვში შეშა სრულებით აღარ არის.

— —

ნ. ი გუჩკოვმა ღარიბთა თავშესაფარის მოსაწყობად 10,000 მანეთი შესწირა.

### უ ც ხ ო ე თ ი.

2 ივნისს პარიზში გაიხსნა ეკონომიური კონფერენცია. კონფერენციას თავმჯდომარეობს პრემიერმინისტრი.

— —

ბუქარესტიდან იუწყებიან: ბუდაპეშტში პარლამენტის გახსნის დღეს უნგრეთელებმა ზავი მოითხოვეს. ზავის შესახებ პრემიერმინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა.

— —

ავსტრიის სამეურნეო ბიულეტენში მოყვანილია ცნობები, თუ როგორ გაძვირდა სხვადასხვა სანოვაგე ომის დაწყების შემდეგ. ფქვილის ფასი ორჯერ მეტად გაძვირებულა. შაქრის—სამჯერ, ღორისა და ცხენის ხორცი ოთხჯერ.

— —

ვენის სამხედრო სასამართლომ სლოვენთა დეპუტატს გრეფენაუერსს 5 წლის ციხე მიუსაჯა.

გრეფენაუერსს ბრალდებოდა იმპერატორის შეურაცხყოფა და ხალხში აგიტაციის გაწევა.

— —

28 მაისს ქ თეირანში დაიწყო საქმის გარჩევა იმ მეამბოხეთა, რომელნიც გერმანელებისა და ოსმალების მხარეზე გადავიდნენ და რუსის ჯარს ესხმოდნენ თავს. სხვათაშორის, სამართალში არიან მიცემულნი ულიხანი, სიაკუპი, ზაფენ ნიზამი და სალარიჯა შახსევანელი.

— —

იაპონიის მინისტრთა საბჭოს კრებაზე დაადგინეს: ეკონომიურად და პოლიტიკურად დაუახლოვდნენ ჩინეთს და იქ თავისი გავლენა გააძლიერონ.

— —

დანიის გაზეთები სწერენ: ინგლისის ფლოტს ებრძანა ჯარი გადასხას ესბერგთან (დანიის სანაპირო ნავსადგურია) და აქედან შეესიოს გერმანიასა.

— —

საბერძნეთმა თავის ტერიტორიალურ წყლებში კერძო ნაოსნობა და თევზის დაჭერა აკრძალა.

— —

ნორვეგიაში მუშათა გაფიცვები გრძელდება.

## ღია წერილი.

**იოსებ გუნცაძეს.**

(ევირიდის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარეს).

დიდათ პატივცემულო, ბ. იოსებ! წარსული წლის ღვინობისთვეში (რიცხვი აღარ მახსოვს) შორაპნის მაზრის წვრილი კრედიტის ინსპექტორის ნიჟარაძისა და თქვენის თაოსნობით შევიკრიბეთ ღ. ყვირილაში შორაპნის მაზრის თითქმის ყველა საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენელნი. ამ სხდომაზე, როგორც მახსოვს, გარდა წარმომადგენლებისა, სხვებიც მრავალი საპატიო პირი დაგვესწრნენ: ლიტერატორები, აგრონომები და სხვადასხვა.

კრებას უმთავრესად უნდა განეხილა სიმინდისა და შაბიამნის მოტანის საკითხი საერთო ძალით და საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით. მრავალი სხვადასხვა აზრი და საშუალება დაასახელეს სხვათა შორის, შაბიამნის შესახებ თქვენ კრებას წინადადება მიეცით, რომ გამოგვეწერა დ. ღამბაშიძის შუა-კაცობით, ან მოსკოვის სახალხო ბანკის თაოსნობით. კრებამ თქვენ მოგანდოთ ერთ ერთის არჩევა და თქვენ მოსკოვის ბანკი ამჯობინეთ; კრებაზე თქვენ სთქვით, ფუთი შაბიამანი დაჯდება არა ნაკლებ 10 მ. და არა უმეტესს 12 მ. ჩვენც იმ იმედით, რომ თქვენი სიტყვა გამართლდებოდა, ხალხს გამოვუცხადეთ რომ თქვენ მიერ დასახელებულ ფასებში შაბიამანი მოგვივიდოდა ამა წლის, მარტში თუ არა, აპრილში მაინც, შევკრიბეთ ბე და გამოვგზანეთ თქვენს ბანკში, რომლის კვიტანციაც ხელთ გვაქვს; სხვა საკრედიტო ამხანაგობაც, რასაკვირველია, ასე მოიქცა; სრული დაიმედებული თქვენ მიერ, შაბიამანს მოველოდით თავის დროზე როცა მე თქვენ შემხვდით ქუთაისში, მითხარით, რომ ცუდათ არის საქმე, თუ თქვენ პირადათ არ წავიდოდით. მე ჩემი მხრით გთხოვეთ წასვლა, ხოლო ხარჯი ყველაზე უნდა გაგვეწერათ.

მოახლოვდა შაბიამნის მოტანის დროც ხალხში გაზეთების საშუალებით ხმა გავრცელდა, რომ თქვენ არავითარი შაბიამანი არ მოგაქვთ, არამედ შაბიამნის ყიდვა-გაყიდვა ხელში იგდო ვაჭარმა ფრიდონოვმა. რაც ამის შესახებ ითქვა და დაიწერა თქვენც კარგათ გეცოდინებათ.

15 აპრილს მდგომარე წლისა თქვენ მიერ ხელ მოწერილი წერილი მივიღეთ, რომ მოსკოვის ბანკმა ვლადივასტოკში იყიდა შაბიამანი და 15 მაისამდი მივიღებდით. როგორც თქვენ იწერებოდით, ფუთი 34 მან. უნდა დამჯდარიყო; გავიდა 15—20 მაისი და მეტიც. ჩვენ ჩაგაბარეთ კიდევ 4000 მ. შეკრებილი ფული, მაგრამ მოვსტყუვდით. 25 მაისს მივიღეთ მოსკოვის ბანკის წერილი 18 მაისს დაწერილი, რომელ წერილითაც გვაცნობებს, რომ 128 ფუთი შაბიამანი უკვე ჩვენ სახელზე გამოგზავნილია 20 აპრილს და მალე მიიღებთო. ფასი 16 მ. ფუთზე იქვე, ხოლო მოტანიანათ 20 მ. ვუცდით, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი არ ძიგვილია. ხალხმა მოთმინება დაკარგა და ფულს უკანვე თხოულობს. პირველი მორწყვის დრო წავიდა.

ხომ მოგეხსენებათ, ბ. იოსებ, ხალხის ახლანდელი მდგომარეობა: ხალხი ისეა დაშინებული, მართალს რომ ეუბნებოდე, მას ტყუილი ჰგონია. რამდენი ზნეობრივი ტანჯვა და ლანძღვა-გინება გამოვიარეთ, ვინ მოსთვლის; ხალხის თვალში ხომ ყოველივე ავტორიტეტი დავკარგეთ თქვენც, ხოლო თქვენის მეოხებით, ჩვენც.

ახლა თქვენ გეკითხებით:

1) თუ იმედი არ გქონდა შაბიამნისა და სიმინდის მოტანისა, რაღად იდევით თავს? 2) კრებაზე თქვენ ფასები 10—12 მ. გვითხარით და მერე 34 მ. ავიდა ეს ფასი, ხოლო მოსკოვის ბანკი კი ვლადივასტოკში 16 მ. აფასებს, რატომ არის ასეთი დიდი განსხვავება თქვენ წერილსა და მოსკოვის ბანკის წერილს შორის? 3) რამ დაგაბრკოლათ, რომ შაბიამანი, გოგირდი და სიმინდი ვერ მოიტანეთ თქვენ, რომელიც აღჭურვილი იყავით მთელი მაზრის საკრედიტო ამხანაგობის უფლებით, ხოლო ყველა ქალაქში კი თვით უბრალო მეწვრიმალესაც კი აქვს შაბიამანი გასაყიდლათ; ებრაელები ხომ სოფელ სოფელ ატარებენ? 4) თქვენ გაქვსთ რაიმე დამოკიდებულება მოსკოვის ბანკთან, ე. ი. ის შაბიამანი, რომელიც მოდის ჩვენ სახელზე, თქვენი გამოწერილია თუ არა? 5) და თუ თქვენი გამოწერილია, რატომ თქვენ 34 მ. თხოულობთ, ხოლო მოსკოვის ბანკი კი 16 მ. ადგილობრივ და გადმოტანა ხომ 5 მ. მეტი არ დაჯდება სულ 20 მ.; რატომ არის ფასებში ასეთი დიდი განსხვავება?

ყველა ზემოთ მოყვანილ კითხვას თქვენ პასუხი უნდა აგოთ, თუ გინდათ თავი გაიმართლოთ. თუ გასჩუმდით, იმ შემთხვევაში რაც ხმა დადის ხალხში, ყველა მართალი იქნება, ე. ი. ყველა[illegible] პირზე აკერია, რომ, ვითომც თქვენ კომპაციულ ხრიკებს მიმართეთ და მთელი შორაპნის მაზრა დალუპეთ.

ვინც ფული შე[illegible] რაკობენ: ვითომც ჩვენ [illegible] რეთ შაბიამანი, [illegible] გადავყიდეთ.

საჭიროა, თქვენც გაიმართლოთ თავი უტყუარი ფაქტებით და ჩვენც გაგვამართლოთ, თორემ ყოველ ნდობას დაკარგავს კერძოთ თითოეული ჩვენთაგანი და საზოგადოთ ყველა კოოპერატიული დაწესებულება.

იმედი გვაქვს—პასუხს არ დააყოვნებთ.

დეკანოზი ი. წერეთელი.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



**რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | 5 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. | 55 „ |
| ბათომიდან | — ღლისით | — 12 ს. | 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. | 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. | 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. | 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. | 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს | — „ |
| ფოთისაკენ | — ღლისით | — 4 ს. | 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. | 25 „ |
| შორაპნისაკენ | — ღლით | — 6 ს. | 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. ს დგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში**. გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი ერთგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)